

საქართველოს კანონი
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში
დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები №12, 1984 წელი, მუხ. 421) დაემატოს შემდეგი შინაარსის 157⁴ მუხლი:

მუხლი 157⁴ საქპატენტში პატენტზე ან დიზაინის რეგისტრაციაზე წარდგენილი განაცხადის არსის განზრახ გამჟღავნება.

1. საქპატენტში პატენტზე ან დიზაინის რეგისტრაციაზე წარდგენილი განაცხადის არსის განზრახ გამჟღავნება. (გარდა განმცხადებლისა ან მისი უფლებამონაცემლისა) საქპატენტის მიერ ოფიციალურ ბიულეტენში მათ შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე.

მუხლი

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

3 2 